ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №-1-11

ქ. გორი

12 02 2018 წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2017 წლის 01 სექტემბრის №1-45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის (№1-45, 01.09.2017) ბრძანების, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (№131791, 07.02.2018) და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (№125132, 06.02.2018) მომართვების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2017 წლის 01 სექტემბრის №1-45 ბრძანებაში და ბრძანების:

1) „ა" პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) დამატებითი გამოცდები - 05 თებერვალი, 2018 - 12 თებერვალი 2018;"

2) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გაზაფხულის სემესტრი:

ბ.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 05 თებერვალი, 2018 – 02 მარტი, 2018;

ბ.ბ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 19 თებერვალი, 2018 – 08 ივნისი, 2018;

ბ.გ) შუალედური გამოცდები - 26 მარტი, 2018 - 06 აპრილი, 2018;

ბ.დ) დასკვნითი გამოცდები - 11 ივნისი, 2018 - 29 ივნისი, 2018;

ბ.ე) დამატებითი გამოცდები - 02 ივლისი, 2018- 13 ივლისი, 2018.

ბ.ვ) *უქმე დღეები:*

03 მარტი - დედის დღე

08 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე

09 აპრილი - ეროვნული ერთიანობის დღე

06-09 აპრილი-სააღდგომო დღეები

09 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე

12 მაისი - წმ. ანდრია მოციქულის ხსენების დღე

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე"

2. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი: გიორგი სოსიაშვილი